საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს-**ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს**

ქ. თბილისის, სიმონ ჩიქოვანის ქუჩა N4 ში მცხოვრები მოქალაქე **დავით სერგოს-ძე კაჭარავას**

11 თებერვალი, 2020.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

პატივცემული მინისტრო, გახლავართ ორგანო გადანერგილთა სპეციალური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარი, თქვენი პროგრამის ფარგლებით, ვღებულობ პროგრაფს და მიფორტიკს. მოგახსენებთ, რომ აღნიშნული პრეპარატები ადრე გაიცემოდა 3 თვის მარაგი პაციენტებზე, შემდგომში თვეში ერთხელ. ამჟამად, ერთ-ერთი პრეპარატი მიფორტიკი-სხვადასხვა მიზეზების გამო 2019 წლის ნოემრის ბოლოდან მოყოლებული შეზღუდული რაოდენობით გაიცემა სპეციალიზირებულ აფთიაქში. შარშანაც იყო შეფერხელბა წამლების გაცემაში იგივე პერიოდში და რამდენიმე დღის მარაგს იძლეოდნენ, წელსაც იგივე მდგომარეობაა, ალბათ, მიზეზები თქვენ უქეთესად მოგეხსენებათ.

მე გახლავართ პროფესიით ექიმი, დამთავრებული მაქვს ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტი, წლების განმავლობაში ვმუშაობდი მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაში მსფოფლიოს სხვადასხვა კუთხეში წამყვან თანამდებობებზე, ახლაც ვმუშაობ საზღვარგარეთ და 3 თვეში ერთხელ ჩამოვდივარ ხოლმე ჩემი კუთვნილი მედიკამენტების მისაღებად, ამჟამად ვერ უზრუნველყოფს სოციალური მომსახურების სააგენტო მიფორტიკის 3 თვის მარაგის მოწოდებას, ვინდაიდან ამ წამლის დეფიციტია.უმორჩილესად გთხოვთ, მიიღოთ ზომები, რომ გამოსწორდეს სიტუაცია და არ შემეზღუდოს ჩემი პროფესიული საქმიანობა. გარდა ამისა, ჩემსნაირ სიტუაციაში იმყოფება ბევრი მოწყვლადი ბენეფიციარი, რომლებსაც რამდენიმე დღის მარაგს აძლევენ აღნიშნული წამლის, ისედაც გრიპის სეზონია, დაბალი ტემპერატურაა და დიდი რისკის ქვეშ დგას თითოეული ჩვენგანი ასეთი სიხშირით აფთიაქში სიარულისას, სულ რომ არაფერი ითქვას მომხმარებელთა კმაყოფილებასა და მოწოდებული სერვისების ხარისხის კონტროლზე. ჯანდაცვის სისტემის რეფორმის ერთ-ერთი ქვაკუთხედი ხომ ესაა-მოქალაქეებზე ზრუნვა და

მოწოდებული სერვისების გაუმჯობესება.

პატივცემულო მინისტრო, მოგმართავთ თხოვნით, გაითვალისწინოთ ჩვენი, როგორც ბენეფიციარების, სპეციფიკა და ყველაფერი იღონოთ, რომ სამომავლოდ ასეთი სიტუაცია აღარ შეიქმნას და მე, ჩემი მხრიდან, მომეცეს წამლების 3 თვის მარაგი, რომ შეუფერხებლად შევძლო პროფესიული საქმიანობის გაგრძელება.

პატივისცემით,

დავით კაჭარავა
პირადი N 01009000134

P.S. დამაინტერესა და დავუკავშირდი ჟენევაში ნოვარტისის ფირმას, რომელიც აწარმოებს აღნიშნულ პრეპარატს-მიფორტიკს. მათ განიმარტეს, რომ მომწოდებელი ფირმა, ვინც ტენდერში გაიმარჯვა -პსპ-ა და ნოვარტისს 3 თვე ჭირდება აღნიშნული პრეპარატის საწარმოებლად, შესაბამისად, ტენდერები დროულად უნდა ჩატარდეს და საჭირო რაოდენობებიც დროულად უნდა იქნეს დათვლილი, და, თავის მხრივ, ისინი უზრუნველყოფენ აღნიშნული მედიკამენტის დროულად და შეუფერხებლად მოწოდებას, დანარჩენი სოციალური მომსახურების სააგენტოზეა ყველაფერი დამოკიდებული, ასე რომ, თქვენი დახმარების დიდი იმედი გვაქვს.